ლაშა სუხიშვილი, ნინო ვანიშვილი

სახელმწიფოს ფუნქციონალური როლი საინფორმაციო ბაზრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში

ლაშა სუხიშვილი - სტუ-ს დოქტორანტი
ნინო ვანიშვილი - სტუ-ს დოქტორანტი

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ეფექტური საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ბიზნესს შორის აქტიური ურთიერთქმედებაა. სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს, აყალიბებს რა სამოქალაქო საზოგადოების ფორმას, განსაზღვრავს მისი ცხოვრების წესს და აწესებს ინსტიტუციურ იერარქიას. მართალია, საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო არ არის ძირითადი მწარმოებელი, მაგრამ არეგულირებს და აწესრიგებს ბაზარზე საქონლის, მომსახურებისა და რესურსების განაწილებას. საბაზრო სისტემის მთავარი მონაწილეები – მომხმარებელი და მწარმოებელი თავად კარნახობს სახელმწიფოს ბაზრის რეგულირების ფორმებსა და ხარისხს.

ისტორიულად, ბაზრის რეგულირების ორი ძირითადი მეთოდია ჩამოყალიბებული – კეინსიანური თეორიისა და ნეოკეინსიანური სინთეზის სახით. ორივე ეს მეთოდი საერთო საფუძველზეა აღმოცენებული. ისინი სახელმწიფოს განიხილავენ, როგორც ეკონომიკური სისტემის სუბიექტს, რომელსაც გარკვეული სამეურნეო მექანიზმი გააჩნია ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად. ამ ორ კონცეფციას შორის პრინციპული განსხვავება მათ გამოყენებაშია.

სახელმწიფო რეგულირების ობიექტებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ეროვნული ეკონომიკის ურთიერთკავშირები სხვა ქვეყნების ეკონომიკებთან, ცალკეული რეგიონების და სექტორების ურთიერთობები, სადაც მეტნაკლებად წარმოიშობა პრობლემები. ერთ-ერთი ასეთი ობიექტია ეკონომიკის ინფორმატიზაცია. საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვიტარებაში სახელმწიფოს როლის განხილვისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ის გარემოება, რომ სახელმწიფოსათვის ეს სრულიად ახალი სფეროა. თუმცა, დღესდღეობით ზოგიერთი ეკონომისტის მიერ სახელმწიფოს როლი საინფორმაციო ბაზრის რეგულირებაში პრიორიტეტულად ფასდება, რამდენადაც სახელმწიფო უზრუნველყოფს:

- ეროვნულ ეკონომიკაში ინფორმაციული სექტორის განვითარების ხელშეწყობას;
- ინოვაციური პროექტების შექმნასა და მხარდაჭერას;
- ინფორმატიკული სისტემების ჩამოყალიბებას;
- ინფორმაციის დაცვასა და უსაფრთხოებას;
- სამართლებლივი ბაზის შექმნას;
- საერთაშორისო შრომის დანაწილებაში თანაბარ მონაწილეობას.

ბაზარი სრულად ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას საინფორმაციო სფეროში. ქვეყნის ბაზრის მიღმა სახელმწიფო უზრუნველყოფს საზოგადოებრივი განვითარებისთვის საჭირო პროდუქციის შექმნას. საინფორმაციო ბაზარი თავისთავად პოლიტიკის ნაწილი ხდება. საინფორმაციო პოლიტიკა არის გადაწყვეტილებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომელიც მმართველობით პრობლემებს წყვეტს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და ხელს უწყობს სახელმწიფოს ტექნოლოგიური განვითარების უზრუნველყოფას.

სადღეისოდ, საინფორმაციო პოლიტიკას ყოფენ რესურს-ტექნოლოგიურ და შინაარსობრივ-ინფორმაციულ შემადგენელ ნაწილებად. პირველ ადგილზე საბაზრო ეკონომიკის რესურს-ტექნოლოგიური საკითხი დგას. მთავარი ამოცანა არის ის, რომ სახელმწიფომ შექმნას დროში ადეკვატური ტექნიკური საშუალებები საინფორმაციო ბაზრის განვითარებისათვის. მეორე, შინაარსობრივ-ინფორმაციული განვითარებისათვის მთავარი ამოცანა არის განათლების და, პირველ რიგში, სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფა.

საინფორმაციო სფეროს რეგულირების მსოფლიო გამოცდილების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვყოთ მისი რამდენიმე მიმართულება:

- კონკურენციის წახალისება: მონოპოლიასთან ბრძოლა, საინფორმაციო საშუალებების მესაკუთრეების კონტროლი, მონოპოლისტთა დეინტეგრაცია;
- იურიდიული და ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობა;
- უნივერსალური კონცეფციის შემუშავება, რომლის მუდმივი განახლების გარანტად სახელმწიფო გვევლინება;
- სიტყვის თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა ტექნოლოგიური განვითარების პირობებში;
- ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა, ახალი თაობის ინტერესების გათვალისწინება;
- ეროვნული კულტურისა და ენის განმტკიცება, უცხო კულტურის ექსპანსიისაგან დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის ციფრულ ფორმატში გადაყვანა;
- განათლების სისტემის რეფორმირება ინფორმაციული საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისად, ანუ დისტანციური სწავლების დანერგვა;
- ტელემედიცინის გამოყენება რეგიონში მცხოვრები საზოგადოებისათვის;
- პიროვნებისა და საზოგადოებისთვის საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ანუ კომპიუტერულ და ტექნოლოგიურ დანაშაულთან ბრძოლა;
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო პროექტების რეალიზაცია დიდ რისკთან არის დაკავშირებული. სახელმწიფოს არ აქვს უფლება ასეთი ტიპის ბიზნესში ჩადოს გადასახადებიდან ამოღებული თანხა. ამიტომ ამ ბაზარზე მთელ რისკს თავის თავზე კერძო აქციონერები იღებენ. ხოლო სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა პირობა ამ ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირებისÐთვის, მისცეს აქციონერებს ამ ბიზნესის ასამუშავებლად საჭირო ნებართვები ექსპლუატაციაში ბიზნესის გასაშვებად.

ბაზარზე ლიდერობის სურვილი, კონკურენტების ჩამოტოვება ყველა ბიზნესმენის ჯანსაღი მისწრაფებაა. ამიტომ თუ სახელმწიფო არ აკონტროლებს პროცესს, სფეროს მონოპოლიზაცია გარდუვალია. სახელმწიფომ კანონმდებლობის დონეზე უნდა უზრუნველყოს მონოპოლიზაციის შეზღუდვა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საინფორმაციო ბიზნესში.

სახელმწიფო გამოდის, ერთი მხრივ, როგორც საინფორმაციო პროდუქტის აქტიური მომხმარებელი, მეორე მხრივ კი, – როგორც საინფორმაციო პროდუქტის მწარმოებელი. სახელმწიფოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი საზოგადოების განვითარების სტიმულირება და მართვაა. საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება დამოკიდებულია სახელმწიფოზე, მის როლსა და განვითარებაზე. საზოგადოებისა და პიროვნების განვითარების ხელშემწყობი სამართლებლივი და ნორმატიული ბაზის შექმნით, სახელმწიფო, შესაძლოა ცვლილებების კატალიზატორის როლში მოგვევლინოს. ეს გაცილებით მასშტაბური ამოცანაა იმასთან შედარებით, ვიდრე სახელმწიფოს მიერ საინფორმაციო პოლიტიკის ფორმულირებაა.

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციები, მათ წინაშე წაყენებული ამოცანების მზარდი სირთულიდან გამომდინარე, მოითხოვს ეკონომიკის ყველა დარგში შექმნილი საინფორმაციო სისტემების მოდიფიკაციას. თანამედროვე საინფორმაციო სისტემები, როგორც წესი, ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

- ✓ აღწერის სირთულე;
- ✓ ურთიერთდაკავშირებული ქვესისტემების არსებობა, რომლებსაც გააჩნიათ ლოკალური ამოცანები და ფუნქციონალური მიზნები;
- ✓ რამდენიმე აპარატულ პლატფორმაზე არაერთგვაროვან გარემოში ფუნქციონირება;
- ✓ დამმუშავებელთა ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობები და პროექტის მასშტაბურობა.

ჩამოთვლილმა ფაქტორებმა გამოიწვია პროგრამულ-ტექნოლოგიური საშუალებების სპეციალური კლასის (CASE - საშუალებების) გამოჩენა, რომელიც რეალიზდება საინფორმაციო სისტემების შექმნის CASE - ტექნოლოგიებით.[1]

[1] CASE - ტექნოლოგია ნიშნავს ინფორმაციული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. იგი გულისხმობს რთული ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემის დამუშავების სრულ პროცესს, რაც, თავის მხრივ, მოიცავს: ამოცანების ანალიზს და ფორმულირებას, გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის და მონაცემთა ბაზების დაპროექტებას, კოდების გენერაციას, ტესტირებას, ხარისხის უზრუნველყოფას, კონფიგურაციულ მართვას, პროექტის მართვას და ა.შ.

თანამედროვე CASE - საშუალებები მოიცავს საინფორმაციო სისტემების დაპროექტების მრავალრიცხოვანი ტექნოლოგიების ფართო არეალს, ანალიზის და დოკუმენტირების მარტივი საშუალებებიდან დაწყებული, ავტომატიზაციის სრულმასშტაბიან საშუალებებამდე. CASE - საშუალებების სრული კომპლექსი შეიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

- ❖ ანალიზისა და დაპროექტების გრაფიკული საშუალებები;
- ❖ დანართების შექმნის საშუალებები;
- ❖ კონფიგურაციული მართვის საშუალებები;
- ❖ დოკუმენტირების საშუალებები;
- ❖ ტესტირების საშუალებები;
- ❖ პროექტის მართვის საშუალებები;
- ❖ რეინჟინირინგის საშუალებები.[2]

საგულისხმოა, რომ სადღეისოდ არსებობს ორი ტენდენცია: პირველ ტენდენციას შეიძლება ვუწოდოთ საინფორმაციო საშუალებებთან სახელმწიფოს ურთიერთობა, ხოლო მეორეს – შესასრულებელი მოქმედებების კომპლექსი, რომელიც საინფორმაციო საშუალებებით საზოგადოების ინფორმატიზაციას გულისხმობს. საინფორმაციო საშუალებებთან სახელმწიფოს ურთიერთობა ყველა სახელმწიფოსთვის მტკივნეული პროცესია და იგი სამართლებლივად რეგულირდება მასობრივი ინფორმაციის კანონითა და სიტყვის გამოხატვის თავისუფლების კანონმდებლობით.

ინფორმატიზაციის პოლიტიკას ფართო გაგება აქვს ჩვენს ქვეყანაში – ეს არის საზოგადოების ინფორმატიზაციის უზრუნველყოფაზე მიმართული სახელმწიფო ქმედება. მთლიანობაში, ეს უზრუნველყოფს სხვადასხვა სფეროში ინფორმაციის სისტემის შექმნას. ამის ნათელი მაგალითია იუსტიციის სახლის პროექტი. იუსტიციის სამინისტროს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიზანი იყო მომხმარებლებისთვის ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მომსახურების უზრუნველყოფა. სწორედ, ამ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად შემუშავდა იუსტიციის სახლის კონცეფცია, რომელიც, მომხმარებლის სერვისთან და ინფორმაციასთან წვდომის გამარტივების თვალსაზრისით, რამდენიმე უწყების საქმიანობას ერთი შენობის ფარგლებში, ერთ სივრცეში აერთიანებს.[3]

დღეისთვის ჩვენი ქვეყანა უფრო ფუნდამენტური და მასშტაბური ამოცანების წინაშე დგას. მან უნდა განსაზღვროს სახელმწიფოს როლი საინფორმაციო ბაზრის ჩამოყალიბებაში და, ამავდროულად, უზრუნველყოს მასშტაბურად CASE - ტექნოლოგიების დანერგვა. მაშასადამე, საზოგადოებრივი განვითარების პროცესში კი არ მცირდება სახელმწიფოს როლი, არამედ იზრდება კიდეც, გლობალიზაციის პროცესებთან დაკავშირებით.

საინფორმაციო ბაზარზე ერთმანეთს სხვადასხვა ჯგუფების (კომერციული ფირმების, მოსახლეობის, სამოქალაქო ორგანიზაციების და სახელმწიფოს) ეკონომიკური ინტერესები ეჯახება. ამ სფეროში სახელმწიფოს მთავარი როლი აღნიშნულ ჯგუფებს შორის ურთიერთობების რეგულირებაა სამართლებლივი ბაზის მეშვეობით, რაც კონკურენციის შექმნა-უზრუნველყოფასაც გულისხმობს იმთავითვე.[4]

საგულისხმოა, რომ ქვეყნის მთლიან ტერიტორიაზე ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნას თან ახლავს რამდენიმე გლობალური პრობლემა: ჯერ-ერთი, განათლების პრობლემის ინფორმატიზაცია, ბავშვთა ბაგა-ბაღიდან დაწყებული და უმაღლესი განათლების სისტემით დამთავრებული; მეორე, საინფორაციო და საკომუნიკაციო ინდუსტრიის ფორმირება და განვითარება, ასევე მოსახლეობის ინდივიდუალური კომპიუტერიზაცია, რომელიც ორიენტირებულია მასობრივ მომხმარებელზე; დაბოლოს, საინფორმაციო მომსახურების სფეროს უზრუნველყოფა ისტორიულ-კულტურულ საფუძველზე, ქვეყნის ტრადიციების გათვალისწინებით.

საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების პრობლემათა განხილვისას თვალნათლივ ჩანს, რომ მხოლოდ ბაზრის სტიქიური განვითარებით ვერ მივიღებთ ინფორმაციის მაღალ დონეს. ამიტომ, ამ პროცესის ერთ-ერთ წამყვან მონაწილედ გამოდის სახელმწიფო. იგი კოორდინაციას უწევს ბაზრის ყველა მონაწილეს; ამავდროულად ინარჩუნებს ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებლივი მართვის მექანიზმებს და აწესებს თამაშის ძირითად წესებს,

[2] უნდა შევნიშნოთ, რომ CASE - საშუალებებით აგებული პროექტი არის ავტომატიზებული და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელი თავისი შედეგით, რადგან გააჩნია უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა [4].

[3] იუსტიციის სახლის ბრენდის ბუნება გულისხმობს არა მხოლოდ რამდენიმე დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის მექანიკურ გადატანას ერთ შენობაში, არამედ მომსახურებაზე ორიენტირებული ყველა სტრუქტურის იდეურ და სისტემურ გაერთიანებას, რაც ემყარება სერვისის წარმოებისა და მიწოდების ხელახალ გააზრებას – "უწყებათაშორის ერთი სარკმლის პრინციპს" [65].

[4] საგულისხმოა, რომ კონკურენციის შენარჩუნება და მონოპოლიებთან ბრძოლა სახელმწიფო რეგულირების უმთავრესი მიზანია.

ქმნის საკანონმდებლო ბაზას, განახორციელებს ადმინისტრაციულ რეგულირებას, მოიზიდავს ინვესტიციებს, ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი ბაზრის ჩამოყალიბებას და ა.შ.[5]

კომპიუტერული ინდუსტრია ძალიან სწრაფად ვითარდება და დღეისათვის ყველასთვის ხელმისაწვდომია გლობალურ ქსელში – ინტერნეტში მუშაობა. გლობალური ქსელი, ერთი მხრივ, ინფორმაციასთან მუშაობის (გადაცემა, მიღება, დამუშავება და ა.შ.) კოლოსალური წინწასული ნაბიჯია, მაგრამ მას, მეორე მხრივ, უარყოფითი მხარეებიც ახასიათებს – სახელმწიფოს მხრიდან ყველასათვის ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე კონტროლის დაკარგვა, კომპიუტერული ვირუსების გავრცელება და სხვა [2]. ამიტომ, ჩვენი აზრით, ყველა სახელმწიფოში უნდა არსებობდეს სპეციალური სამსახურები, რომლებიც იმუშავებენ პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ინტერესების დაცვის მეთოდებსა და საშუალებებზე მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში.

დღეისათვის, მართებულია მტკიცება, რომ სხვა თანაბარ პირობებში სახელმწიფოს მიერ სტრატეგიული უპირატესობის მიღწევა დამოკიდებულია მის განკარგულებაში მყოფ ინფორმაციულ შესაძლებლობებზე.[6]

მსოფლიო გამოცდილების მაგალითზე, საქართველომ რომ გაუძლოს ახალ გამოწვევებს საინფორმაციო უსაფრთხოების სფეროში, იგი უნდა გახდეს საინფორმაციო ურთიერთობების აქტიური და, ამავე დროს, კომპეტენტური სუბიექტი. ამ მიზნით, ქვეყანაში უნდა შემუშავდეს ინფორმაციული უსაფრთხოების დოქტრინა, რომელშიც ასახული იქნება სახელმწიფო პოლიტიკა უსაფრთხოების სფეროში. ასევე უნდა შემუშავდება და გამოყენებულ იქნას ინფორმაციის დაცვის თანამედროვე მეთოდები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები.

ინფორმაციულ უსაფრთხოებაში არ იგულისხმება მხოლოდ კომპიუტერული უსაფრთხოება. ინფორმაციული უსაფრთხოება, მოიცავს რა კომპიუტერულ უსაფრთხოებას, როგორც აუცილებელ შემადგენელ ელემენტს, ვრცელდება ყველა სოციალურ პროცესებზე, რომელშიც ინფორმაცია ფუნქციონირებს და ინფორმატიკა გამოიყენება. ე.ი. ინფორმაციული უსაფრთხოება ცივილიზაციის ინფორმაციულ სფეროს ყველა მოვლენაზე ვრცელდება [2].

თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციის ცირკულაციის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ეთიკურ პრობლემებს გამოყოფენ. რუსეთში, კანადაში, აშშ-ში, ევროპის მრავალ ქვეყანაში ინფორმაციული უსაფრთხოების დოქტრინებში შემდეგი განმარტებაა ჩამოყალიბებული: ინფორმაციული უსაფრთხოება არის საზოგადოების ინფორმაციული სფეროს დაცულობის მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს მის ფორმირებას და განვითარებას, სახელმწიფოს, მოქალაქის და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემები მეცნიერების და საზოგადო მოღვაწეების კვლევის ობიექტი გახდა. ვინაიდან, ინფორმატიზაციის პროცესი ძირეულად ცვლის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემას, გარემოს შეცვლით მთლიანად იცვლება პიროვნება და საზოგადოება. ინფორმაციული უსაფრთხოების ცნების გამოკვლევებში აუცილებელია: პირობების დადგენა, რომელშიც აღმოჩნდება პიროვნება და საზოგადოება ინფორმატიზაციის პროცესის შედეგად; სოციალური გარემოს ღრმა ანალიზი; ინფორმატიზაციის წინამძღვრების და შედეგების დადგენა; ინფორმატიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოყოფა [2].

ჩვენი აზრით, ინფორმაციული უსაფრთხოება საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესების დროს სახელმწიფოს და პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების დაბალანსებას და ეროვნული ინტერესების დაცვას გულისხმობს. ასევე, მნიშვნელოვანია საინფორმაციო ბაზარზე საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, სადაც დემოკრატიული წყობა აიძულებს სახელმწიფოს შექმნას ქვეყანაში ღია და გამჭვირვალე საინფორმაციო სივრცე. ასეთი ტიპის ურთიერთობა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის უკვე გამოცდილი საერთაშორისო პრაქტიკაა. ძალიან აქტუალურია ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება, რომელიც სახელმწიფოს მიერ შექმნილი საინფორმაციო პროდუქტების გაყიდვებ-

[5] უნდა ავღნიშნოთ, რომ სახელმწიფოს რეგულირების და კონტროლის ძირითადი ინსტუმენტია ნორმატიულ-სამართლებლივი ბაზა. სახელმწიფოს მთავარი გამოწვევაა ის, რომ საინფორმაციო ბაზრის რეგულირების სამართლებრივი ბაზის შექმნის დროს გაითვალისწინოს საერთაშორისო, ეროვნული, საზოგადოებრივი და ინდივიდუალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნები.

[6] ამის თვალსაჩინო მაგალითია ყოფილ საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის „ცივი ომის" შედეგები, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ხორციელდებოდა ინფორმაციული საშუალებებით. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმა მიაღწია ამერიკასთან პარიტეტს სამხედრო სფეროში, მაგრამ დამარცხდა ინფორმაციულ ბრძოლაში [2].

ის რეგლამენტირებას ახდენს. ნებისმიერ შემთხვევაში ინფორმაციას კომერციული ღირებულება გააჩნია დაინტერესებული პირებისათვის.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, რომ სახელმწიფოს მიერ შექმნილი ინფორმაციისგან მიღებული შემოსავლები არ მიდის ბიუჯეტში. ამიტომ სახელმწიფო საინფორმაციო რესურსების გონივრული გადანაწილება უნდა მოხდეს გაყიდვების დროს. მაგალითად, შეიძლება ინფორმაცია წარმოადგენდეს სახელმწიფო საიდუმლოებას. ამ დროს მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ის, თუ როგორ მოხდება საიდუმლო ინფორმაციის გამიჯვნა კომერციული ინფორმაციისგან. არსებობს საიდუმლო ინფორმაციის კომერციულ ინფორმაციად გარდაქმნის მსოფლიო პრაქტიკა და ამ ინფორმაციის გაყიდვის სპეციფიკა.

სახელმწიფოს მიერ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას რამდენიმე პრობლემა ახლავს თან. მათ შორის შეიძლება იყოს ბიუროკრატიული სახის პრობლემა, როცა ჩინოვნიკებს არ სურთ ინფორმაციის გავრცელება, ან ახალი ტექნოლოგიების დამკვიდრება საჯარო სამსახურებში. შეიძლება იყოს ხელისშემშლელი ფინანსური მხარეც, რომელიც სჭირდება ტექნოლოგიური ბაზის მოწყობას, რაც თავისთავად გამოიწვევს ადამიანური რესურსის დაზოგვას და სამსახურებიდან ძველი კადრების გათავისუფლებას. მას, ბუნებრივად, ბევრი თანამშრომელი ეწინააღმდეგება. აგრეთვე საწყის ეტაპზე პრობლემას ქმნის ის, თუ სახელმწიფოს არ აქვს შექმნილი შესაბამისი განვითარების კრიტერიუმები. კერძოდ:

- საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა უნდა შექმნას კერძო სტრუქტურამ, რომელიც დიდ ფინანსურ რისკებთან არის დაკავშირებული, რადგან მისი ფუნქციონირება ძვირადღირებულ ტექნიკურ აღჭურვილობას საჭიროებს. სახელმწიფო კი მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს კერძო პირებს ამ ბიზნესის განვითარებაში;[7]
- აუცილებელია განისაზღვროს პროგრამების როლი სახელმწიფოს მშენებლობაში. სახელმწიფოს ყველა ორგანო და სტრუქტურა უნდა იყოს მიმართული თანამედროვე ტექნოლოგიური და პროგრამული განვითარებისკენ;
- სახელმწიფო, როგორც უზარმაზარი ინფორმაციის მფლობელი, ვალდებულია ჩამოაყალიბოს პოლიტიკა ამ ინფორმაციის საზოგადოებისა და საქმიანი წრეებისთვის მიწოდების თაობაზე. სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის მიხედვით, კონკრეტული ინფორმაცია არ ექვამდებარება გავრცელებას, თუმცა, ცალკეულ დაწესებულებებს შეუძლიათ ერთპიროვნულად მიიღონ ასეთი ინფორმაციის გავრცელების გადაწყვეტილება;
- სამთავრობო უწყებებში საინფორმაციო სისტემების კონტროლი აუცილებელია, ასევე სავალდებულოა შეიქმნას მექანიზმი ამ უწყებებში არსებული პროექტების ფინანსური, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური შემოწმებისთვის. სახელმწიფოს სწორი პოლიტიკა ამ სისტემების ერთგვარი კატალიზატორია;
- რაც შეეხება ბიბლიოთეკებს და სხვა საინფორმაციო ბაზის შემნახველ ინსტიტუტებს, სახელმწიფო პოლიტიკამ აქაც უნდა გაითვალისწინოს, რომ საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესი. დისტანციური სწავლების მეთოდი და თანამედროვე ვირტუალური ბიბლიოთეკები და მუზეუმები ასევე ოპტიმალურად იყენებენ ტექნოლოგიურ მეთოდებს. ამ მხრივ შემუშავებულია ციფრული პროგრამები, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობას მოაქცევს ერთ სისტემაში;
- ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ ვინ არის მასობრივი საინფორმაციო საშუალების მესაკუთრე. ზოგადად, მნიშვნელოვანია შიდა და გარე კაპიტალის დაბანდება იმისთვის, რომ ეს სფერო განვითარდეს. ეს თავისთავად გარდაუვალი და პოზიტიური პროცესია, რის გარეშე სერიოზული ინვესტიცია არ ხორციელდება ამ ბაზარზე. თუმცა, მნიშვნელოვანია ბაზარი დაცული იქნეს მონოპოლიზაციისგან.
- განსაზღვრული უნდა იყოს ყველა მოქალაქის უფლება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თაობაზე. ამისათვის უნდა არსებობდეს გამართული სამართლებრივი ბაზა და ჩამოყალიბებული საორგანიზაციო მექანიზმი. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აუცილებელია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კონტროლს განახორციელებს.
- ასევე მნიშვნელოვანი საქმიანობაა ნორმატიული ბაზის სისტემატიური განახლება და დახვეწა, რომელიც მუდმივად უზრუნველყოფს ბალანსს სახელმწიფოს, ინდივიდსა და ბიზნესსექტორს შორის.

ეროვნული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების პარალელურად, ეს ბაზარი უნდა ჩაერთოს გლობალური საინფორმაციო ბაზრის სტრუქტურაში. ამ გამოწვევის გადალახვა კი მოითხოვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. ამ სისტემაში ჩართვის პირდაპირ-

[7] ხელისუფლებამ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ლიცენზიები, უნდა შექმნას საინვესტიციო გარემო და კონკურენტული ბაზარი, იმისთვის, რომ ამ ბიზნესის კეთების რისკი შემცირდეს.

პროპორციულია ის, რომ დაცული იქნეს ინდივიდის უფლება ინფორმაციის მიღების თაობაზე და ამისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი საერთაშორისო პრინციპები:

- ✓ კონკურენციის უზრუნველყოფა;
- ✓ კერძო ინვესტიციების წახალისება;
- ✓ რეგულირების სისტემების ჩამოყალიბება;
- ✓ ქსელში ჩართვის ხელმისაწვდომობა;
- ✓ უნივერსალური მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ✓ მოქალაქეების თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა;
- ✓ შინაარსის მრავალფეროვნების უზრუნველყოფა (კულტურული, ენობრივი);
- ✓ თანამშრომლობა განვითარებულ ქვეყნებთან.

ყველა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი ამოცანა არის ის, რომ გახდე გლობალური საინფორმაციო სივრცის ნაწილი. მთავარი პრობლემა კი გლობალურ საინფორმაციო სივრცეში სხვადასხვა ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებაა, რომ არ მოხდეს "ციფრული" განხეთქილება.

ამ პრობლემის გადაჭრა მოითხოვს აქტიურ დისკუსიებსა და კონსულტაციების გამართვას სამართლებრივ, ნორმატიულ და საინფორმაციო ტექნოლოგიურ საკითხებზე განვითარებად და გარდამავალ ეკონომიკის ქვეყნებთან. უნდა მოხდეს ამ ქვეყნებში განათლების სისტემის განვითარება, რათა მოხდეს საზოგადოების ადაპტაცია გლობალურ საინფორმაციო სივრცეში. ე.წ. „ელექტრონულ რევოლუციას" საფუძველი გამომთვლელი მანქანების და ტექნიკის შექმნამ დაუდო. დღეისთვის საინფორმაციო და ტექნოლოგიური განვითარება იწვევს რადიკალურ სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს. გლობალური საინფორმაციო ქსელე-ბის შექმნამ გამოიწვია ტრადიციული ეკონომიკური მოდელების ცვლილებები მსოფლიოში.

მდიდარ ქვეყნებში ე.წ. „ახალი ეკონომიკის" განვითარებას თან მოსდევს შრომის მწარმოებლურობის გაზრდა, ინოვაციების დანერგვა, ინფორმაციის როლის ამაღლება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დედამიწის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს შეეხება; მაშინ როცა ინტელექტუალური ელიტა მსჯელობს მსოფლიოს საინფორმაციო სისტემების განვითარების შესახებ, მსოფლიოს მოსახლეობის მესამედი სატელეფონო კომუნიკაციითაც კი ვერ სარგებლობს, არ აქვთ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები, ვერ ღებულობენ განათლებას და სამედიცინო მომსახურებას.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბოლო პერიოდში ინტენსიურად ვითარდება საინფორმაციო ბაზარი, სხვადასხვა ქვეყნებს შორის საინფორმაციო ციფრული განხეთქილება კი არ მცირდება, არამედ იზრდება.

მსოფლიო ეკონომიკისათვის და ასევე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, რომელსაც მიეკუთვნება საქართველო, სახიფათოა სამი ასპექტი:

- ○ ისეთი ქვეყნები ჩამორჩებიან განვითარებას, რომელშიც მოსახლეობა სრულად ვერ ღებულობს ინფორმაციას, რადგან მათ ხელი არ მიუწვდებათ ამ ინფორმაციის მოპოვებაზე;
- ○ ისეთი ქვეყნები ჩამორჩებიან განვითარებას, რომლებიც ვერ ახერხებენ, რომ განვითარებული ქვეყნებიდან გადმოიღონ წარმოების ეფექტურობის ზრდის გამოცდილება და ვერ იყენებენ ამ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს;
- ○ ისეთი ქვეყნები ჩამორჩებიან განვითარებას, რომელთა საზოგადოების დიდი ნაწილი თავის თავზე ვერ გრძნობს საინფორმაციო რევოლუციის დადებით ზეგავლენას, მათ უვითარდებათ ნეგატიური დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ, რაც მასთანაა დაკავშირებული.

იმისათვის, რომ ეს საფრთხე თავიდან იქნას აცილებული, საჭიროა სახელმწიფო მმართველებმა და დონორმა ორგანიზაციებმა გადალახონ "ან/ან"-ის სინდრომი. ხშირ შემთხვევაში "ციფრული განხეთქილება" იზრდება თემაზე "ან საავადმყოფოები, ან სკოლა, ან კომპიუტერები, ან ტელეფონები, ან ინტერნეტი". დადგა დრო, რომ ეს საკითხები ერთ კონტექსტში იქნეს განხილული.

გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის, ჩვენი აზრით, უნდა მოხდეს ყველა სფეროს ინფორმატიზაცია, უნდა გაღრმავდეს საზოგადოების ცნობიერება და ის უნდა გახდეს საინფორმაციო ბაზრის ფაქტიური და ეფექტური მომხმარებელი.

ზემოთ აღნიშნული გვარწმუნებს, რომ, მომხმარებლისა და მწარმოებლის გარდა, მესამე დამოუკიდებელი ძალა არსებობს. ეს ძალა დაინტერესებულია, რომ მიიღოს მოგება და ჰქონდეს ისეთი გლობალური მიზნები, როგორიცაა - ინფორმაციის გლობალიზაცია, ინტელექტუალური და ინოვაციური სისტემების დანერგვა, რაც ხელს უწყობს საინფორმაციო საზოგადოების განვითარებას. ეს უნდა იყოს სახელმწიფოს კარგად დამუშავებული პოლიტიკა ამ სფეროს განვითარებისთვის. ამასთან, აუცილებელია ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა, რომლებსაც თავისი მიდგომა აქვთ ტელესაკომუნიკაციო ბაზრის თავისებური, ლიბერალური პოლიტიკის შექმნის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბადაძე ი., მამულაშვილი ლ., წერეთელი ი., ფოფხაძე გ. – ელექტრონული ბიზნესი ახალი ეკონომიკური საქმიანობა. - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი - საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე" - ბათუმი, 2011 წ., 24-25 სექტემბერი, გვ. 267-270.

2. სიგუა ზ. – ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლო უარყოფითი შედეგები. - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი - საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე" - ბათუმი, 2011 წ., 24-25 სექტემბერი, გვ. 271-273.

3. ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ. - ელექტრონული კომერციის თანამედროვე ეკონომიკური ასპექტები. თბილისი, სოციალური ეკონომიკა, მე-19 საუკუნის აქტუალური პრობლემები, 2009, № 4 (4). - გვ. 32-37.

4. ცერცვაძე მ., სულთხუციშვილი მ. - CASE – ტექნოლოგიები საფინანსო ორგანიზაციაში. - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი - საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე" - ბათუმი, 2011 წ., 24-25 სექტემბერი, გვ. 277-279.

5. http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=636, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 11.10.2012.

6. Laudon Kenneth Ñ, Laudon Jane Price/ Essentials of Management Information Systems-Third edition. Prentice Hall, 1998. - 556 p.

7. Raymond McLeod, Jr. Management Information Systems: A study of computer-based informational systems. - Washington.: Simon & Shuster Custom Publishing, 1998. - 655 p.

8. Friedman M. Free Markets and the Generals //Friedman M. The Essence of Friedman. Stanford, 1987. - P.129-131.

FUNCTIONAL ROLE OF THE STATE IN FORMATION AND DEVELOPMENT OF INFORMATION MARKET

LASHA SUKHISHVILI - PhD of GTU
NINO VANISHVILI - PhD of GTU

This article is dedicated to consideration of peculiarities of development of Georgian information market within economic conditions. In this respect, analyzes information demand and supply modeling within market economics; functional role of the state in formation of information market; development and directions of information market in Georgia.

Information is a unique good and its retirement may occur earlier or later. The producer is not able to foresee the value of the information on the market because there is no demand on information till its production and accordingly the value is not determined. There is another important fact, we can produce information only once and its distribution is another different process and it depends on the form, number and cost of distribution.

To our opinion integration in global information society should be implemented by informatization of all fields. Public awareness should be deepened and it should become the factual and effective customer on the information market. Hence the above mentioned there is the third independent power except of customer and producer. This power is interested in gaining profit and having more global aims such as – information globalization and development of innovative systems which supports development of information society. This should be the well-processed policy of the state for developing this field. Cooperation with international organizations such as European Union and European Commission is essential; they have their own approach and liberal policy of telecommunication market as well as tight contact with east European countries.